საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 04 სექტემბრის
დადგენილება № 960

სტუ-ში არაფორმალური პროფესიული განათლების
აღიარების წესის ცვლილების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს "სტუ-ში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის" მე-3 მუხლი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 3. **უფლებამოსილი ორგანო**

1.1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს ამ მიზნით ფაკულტეტებზე შექმნილი კომისიები.

კომისიები იქმნება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. კომისიაში უნდა შედიოდეს: დამსაქმებელთა წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები (არ უნდა იყვნენ სტუ-ს თანამშრომლები), ადმინისტრაციის წარმომადგენელი (დეკანი/დეკანის მოადგილე).

1.2. რექტორის შესაბამის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში/აქტებში განსაზღვრული უნდა იყოს განცხადების წარმოდგენის, მისი განხილვის, შესაბამისი გამოცდების ჩატარების, გადაწყვეტილების მიღების და ჩარიცხვის ვადები."

2. შეიცვალოს "სტუ-ში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის" სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 5. **გადაწყვეტილების მიღება**

პუნქტი 5.6. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით."

3. გაუქმდეს მე-6 მუხლი.
4. შეიცვალოს დანართი 2 და ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

| | |
|---|---|
| აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე | **ა. ფრანგიშვილი** |
| აკადემიური საბჭოს მდივანი | **გ. სალუქვაძე** |

*დანართი*
*(“სტუ-ში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის“ დანართი 2)*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

---

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის

# ოქმი №

თარიღი:
ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე: ____________________________
არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის წევრები, დამტკიცებული -------------- № ----- ბრძანებით:

| | |
|---|---|
| 2. ___________________________ | 4 . ____________________________ |
| 3. ___________________________ | 5. ____________________________ |
| 4. ___________________________ | 6. ____________________________ |

-------------------------------------------------------------------------------
(სახელი, მამის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი

დოკუმენტის/დოკუმენტებისა ----------------------- ---------------------------------------------
----------------------- ------------------------------------------------------- -----------------------
(დოკუმენტის დასახელება)
და გამოცდის შედეგად მიღებული შეფასების – ----------------------------------------------
(ქულა – რიცხვი და სიტყვიერად)

საფუძველზე კომისიის გადაწყვეტილებით ----------------------------------------------
(ეღიარა/არ ეღიარა)
მიღებული არაფორმალური პროფესიული განათლება --------------------------------------------

-------------------- საგანმანათლებლო პროგრამის ---------- საფეხურზე;

კომისიის თავმჯდომარე: ____________________
(ხელის მოწერა)

კომისიის წევრები:

(ხელის მოწერა)

| | |
|---|---|
| 1. ____________________ | 4. ____________________ |
| 2. ____________________ | 5. ____________________ |
| 3. ____________________ | 6. ____________________ |